№ 6. 12 (24) თებერვალი 1870 12 (24) თებერვალი № 6.


**გაზეთის ფასი**

| თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაგზავნით | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 7 მან. | — — — 6 მან. |
| ნახევარის წლისა | — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 — 50 კ. | — — — 2 |
| ერთის თვისა | — 1 — | — — — „ — 75 კ. |
| ცალკე ერთის ნომრისა | | — — — „ — 15 კ. |

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით—ასოზე 1/2 კაპ.

„დროება" გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.


# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეხუთე.


**ხელის-მოწერა მიიღება:**

თფილისში — „დროების" რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ".

ქუთაისში — ლ. ლოლუასთან — პოლიციის ქუჩაზე, მელქონ პალიევის სახლში.


ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში" დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს თავის თანამშრომელის სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

### გაზეთის „დროების" გამოცემაზე 1870 წელსა.

ამ 1870 წელს „დროება" გამოდის იმავე პროგრამმითა, როგორითაც წინანდელ წლებში გამოდიოდა.—

**ხელ-მოსაწერი ფასი:**

| | გაუგზავნელათ. მან. | კაპ. | გაგზავნით მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ერთის წლისა თფილისში და აგრეთვე გარეშე ადგილებში | 6 | „ | 7 | „ |
| ნახევარის წლისა | 3 | 50 | 4 | „ |
| სამის თვისა | 2 | „ | 2 | 50 |
| ერთის თვისა | „ | 75 | 1 | „ |

**ხელის მოწერა**

შეიძლება თფილისში „დროების" რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ", при типографіи Меликова и К-°.

ქუთაისში ხელის მოწერა შეიძლება ლ. ლოლუასთან და დ. აბდუშელიშვილთან, პოლიციის ქუჩაზე მ. პალიევის სახლში.

უმორჩილესად ვთხოვთ გაზეთის ხელის-მომწერლებს—დაბარებისა თანავე გამოგზავნონ რედაქციაში გაზეთის ფასი და კარგათ დაწერილი თავიანთი ადრესსი.

**შინაარსი:**

დროების გამოცემაზე 1870 წელსა.—ჩვენი სილარიბის მიზეზი.—სამოსამართლო ქრონიკა.—ნეკროლოგი.—სავაჭრო და ბიბლიოგრაფიული განცხადებები.—ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში.—ლექსები: „საზანდრული".

**ერთი კვირა მეტია, რაც რუსული გაზეთები არ მოგვსვლია რუსეთიდან და ამიტომ ამ ნომერში, გაზეთების უქონლობის გამო, არ არის არც „რუსეთის ამბები" და არც „პოლიტიკა". ამბობენ, რომ გზა ხარკოვსა და როსტოვს შუა არისო შეკრული.**

### ჩვენი სილარიბის მიზეზი.

სტატია გ. თარხან-მოურავისა

ხშირად გვესმის, რომ ჩვენი საზოგადოება ეხლა აღარ სარგებლობს იმ სიმდიდრით და უზრუნველი ცხოვრებით, როგორათაც უწინ, ჩვენი მამა-პაპების დროს.—საზოგადოთ ყველანი საქართველოს მცხოვრებელნი ამაზედ ბაასობენ და თავ ჩაღუნული შესჩივიან ერთმანეთს. მაგრამ არც ერთს ამათგანს არაოდეს ფიქრში არ მოსვლიათ გამოკვლევა იმ მიზეზებისა, რომელთაც ჩვენი ცხოვრება მიიყვანეს ეხლანდელ ეკონომიურ მდგომარეობამდინ; მაშინ როდესაც მხოლოდ გალარიბების მიზეზის შეტყობით შეგვეძლება ჩვენ გამოვეცვალოთ ის გარემოებანი, რომლების წყალობითაც ჩავარდნილი ვართ სილარიბეში.

თუ გვსურს შევიტყოთ—როგორ გამოვცვალოთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა და როგორ გამოვიხსნათ თავი ამ სილარიბით შევიწროებიდან, რომელსაც გრძნობს ეხლა ჩვენი საზოგადოება, ჯერ საჭიროა შევიტყოთ, როგორი პირობები ცხოვრებისა გვარტყია გარს, რომელი მათგანი მოქმედობს მავნებელათ და რომელი სასარგებლოთ.—უამისოთ, არც ერთი ჩვენი მოქმედება, რაც უნდა ენერგიული იყვეს, არ მოგვცემს სასარგებლო ნაყოფს და მაშასადამე ეს მოქმედება იქნება

### ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში.

(გაგრძელება)

**კაცია, ადამიანი.** მოთხრობა Ილ. ჭავჭავაძისა. გამოცემული მ. ბეთანიშვილისაგან. პეტერბურგი, 1869 წ.

უმეტესი ნაწილი ნაკლულოვანობა აქვს Ილ. ჭავჭავაძის პოეზიასა გარეგანი ფორმის, ხელოვნების მხრით,—ენისა და ლექსთ-წყობის შეუმუშავებლობა, აგრეთვე შინაგანი თვისების შეუფერებლობა, ცოტა გრძნობის ქონება ლექსში და ბევრი მსჯელობის ჩართვა,—ნაციონალური კილოს უქონლობა და უკანასკნელ, შეუფერებელი პოეტის დანიშნულებისა, ხალხთან არშიყობა, ფიქლვისა და ძრახვის შიში (жеманство, кокетничанье). ჩვენდა სამწუხაროთ, ზემოხსენებული ლექსისთანა („ბაზაფხული"), ყოველმხრით სრული, ბევრი არა აქვს.—მაღალი პოეტური ნიჭის შესაფერათ ენის შეუმუშავება, მეტადრე ლექსებში, ძალიან საგრძნობელია (პროზაში აგრე რიგათ არა).—ამ გვარად იმის ნიჭს აკლია იარაღი, საშუალება გამოსთქვას ყველაფერი, რაცა სურს, ცხადათ, ადვილათ და სასიამოვნოთ. თუმც ყოველ-წინა აქვს ჩვენი ძველი და ახალი მწერლების თხზულებები, მაგრამ ზოგჯერ არამთუ ნამდვილ ქართულ-კილოზედ მოხდენილი, მოქერხებული ენა—წყლიანობა აკლია, რომელიც ასე საჭიროა მეტადრე პოეტებისთვის, არამედ ზოგიერთ იმის თხზულებაში ნახმარები სიტყვები, და ხან მთელი წინადადება, არ უდგება ქართულ ენასა და ეტყობა მწერალსა იმათი მნიშვნელობა კარგათ არ ესმის. მაგ. მოვიყვან აქ რაც მომაგონდება,—ყველა იტყვის, რომ ამის უცოდინარობა არამ თუ პოეტებს, რომლებიც „ღმერთთან ბაასობენ", უბრალო გიმნაზიის შაგირდებსაც, რომელსაც ნეტარად ხსენებულ ზახარ სტეფანიჩთან ულაპარაკნია, არ უნდა ეპატიოს. Ილ. ჭავჭავაძე სწერს „პოეტში":

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

რასა ჰქვიან „გარეგანი ფრინველი"?—ამას ქართველი კაცი არ იტყვის და არც სხვა ენაზედ არის გასაგები; რუსულათ მაგ. იქნება სიტყვა, სიტყვაზედ რომ გადათარგმო „внѣшняя, наружная птица"—სრულიად უაზროა, ამისთვის რომ ეს ზედშადები („გარეგანი") ხატავს ერთსა და იმავე საგნის გარეგან მხარესა, ნაწილსა,—და ამ ჰაზრით, როგორც Ილ. ჭავჭავაძე ხმარობს, სულიერ არსებებზედ თავის დღეში არ იხმარება;—მაშ რა უნდა ეთქვა?—ცხადია, რომ „გარეული," მოუშინაურებული, „ტყისა" და სხვ. ყველა ამბობს „შინაური ფრინველი, გარეული ფრინველი" და არა „გარეგანი და შინაგანი ფრინველი". რუსულათაც ასეა: „домашняя, прирученная", ამის წინააღმდეგი ჰაზრი—„дикая, неприрученная." თუ ამ უბრალო სიტყვების უცოდნელობიდგან წარმოსდგა ეს შეცდომა, ცუდია და თუ იმისგან, რომ რითმას „განმა" „ცამა" დაიძახოს და „გარეული" რომ ეხმარა რითმა არ გამოდიოდა—ეს უფრო უცუდესი, რადგან მარტო „მესტვირეებმა" და იმათ გვარ პოეტებმა იციან სიტყვების ძალათ დაგრეხა, დაკვლაკნა და ჰაზრის დამარხვაც ლექსის გულისთვის, რომ სა, სა, და მეო, მეო აძახონ. Ითონ შეკავშირება წინადადებებისა მოყვანილ ლექსში „პოეტი" უკანონოა, ენის წინააღმდეგია; მე ამას არ ვამბობ კიდევ, რომა ამ პირობის შეკვრა და დაჩარჩება კარგ პოეზიაში არ იხმარება, მისთვის.... რომა.... (ბარემ „შეკაცოც" მოუმატოს) ძალიან პროზულია! მარტო ენის უკანონობაზედ ვიტყვი: „მისთვის არ ვმღერ, რომ (?) ვიმღერო"—არც რუსულათ ითქმის ასე: потому не пою, чтобы (?) пѣть... არამედ: не потому пою, чтобы пѣть;—ან არა და: потому не пою, чтобы не пѣть. ქართულათაც სწორეთ ამ გვარად ითქმის უარყოფითი წინადადება: არა მისთვის ვმღერ, რომ ვიმღერო, ან არა და: მისთვის არ ვმღერ, (ე. ი. მისთვის ვარ ჩუმათ) რომ არ ვიმღერო ვით ფრინველმა გარეგანმა (ანუ ჩვენებურათ: გარეულმა)...

აქ ქართული ენის წინააღმდეგ შეცდომებს იმიტომ ვადრი რუსულ ენასა, რომ უმეტესი ნაწილი Ილ. ჭავჭავაძის ლექსებისა რუსული ენიდგან ნათარგმნსა ჰგავს, იმდენათ აქვს რუსული ენის კილო და წინადადებათ წყობა; აგრეთვე სიტყვები არის ნახმარები, პროზაშიაც კი ხან და ხან და იმათი მიხვრა-მოხვრა რუსული ენის კანონებზედ, ასე რომ ხშირად იმისი თხზულება მაშინ არის ცხადათ გასაგები, როდესაც რუსულათ სთარგმნით; საზოგადოთ იმის ლექსების კითხვის დროს რუსულათ უნდა ჰფიქრობდეს კაცი. ხშირად გაუჭირებლივ უცხო ენიდგან სესხულობს სიტყვებსა და გამოთქმასა;—ჯერ გაჭირებაში რა არის ვალი, რომ გაუჭირებლივ რა იყოს; მაგრამ იქნება ამ ვალის მოყვარეობითაც კიდევ უფრო მტკიცდება, რომ პოეტი თავის ხალხის ნამდვილი შვილია; მაგ. „კაცია, ადამიანში", როდესაც თათქარიძის სახლ-კარს აღწერს, ამბობს: „მუაჯარს ეკრა ზედ მერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული, რომელიც საქვეშაგებოსა თამაშობდა". წმინდათ რუსულიდგან არის გაუჭირებლივ ნასესხი ეს სიტყვები (ბევრ ევროპიულ ენებში არის ესევე სიტყვის მასალა), მაგრამ რომ გადათარგმნოთ უკანვე ქართულ ენიდგან, ჰაზრი არ გამოვა, რადგან სიტყვა „როლი" აკლია—„играть роль шкафа" და არა „играть (?) шкафа"! ან არა, ვაჟო, და რა საჭიროა თავში ცემით აქა იქ ვალის ასაღებად წეწვა, თუ ქართველმა ქართველობა არ უნდა დაამტკიცოს ამითი"!—ღმერთს ჩვენი საკუთარი სახელი მოუცია იმ საგნისთვის, რომელიც უნდოდა ვითომ მახვილ-გონიერად დაესახელებინა პოეტსა, და, მთელ ევროპის ახალ ენებში რომ ეძებოთ, ჩვენი ჩვეულების გამომხატველ სიტყვას ვერ იპოვნით: ჩვენ დღე ვალაგებთ ხოლმე ქვეშსაგებსა და დავაწყობთ განჯინაში, რომელსაც „წალოს" ვეძახით. ამიტომ, ჩვენის ჰაზრით, უფრო კანონიერი და მახვილ-გონივრული იქნებოდა, რომ ჩვენი მშვენივრად გამომხატველი და საკუთარი ნამდვილი ქართული სიტყვა ეხმარნა: „საქვეშაგებო" ან უფრო „სალოგინე" იყო ან „წალოს ალაგი ეჭირა, ან წალოთ იყო"—იმ უხეიროთ ნახმარებ უცხო ენით გამოხატვის მაგივრად. მე აქ არ შევუდგები და არც სტატიის სამძღვარი და არც მესხიერება ნებას არ მაძლევს ამ გვარ შეცდომების ჩამოთვლას გამოუდგე: ასე ხშირია Ილ. ჭავჭავაძის თხზულებებში ამ გვარი შეცდომები, რომ იშვიათ ქართველს გაუჭირდება იმათი პოვნა. ეს ორიოდე ენის (ქართულის) და თარგმნის, ანუ მიბაძვის უკანონობის ნიმუში იყოს; ერთსაც, სამების ძალზედ, ულოღიკობის, ჰაზრის, წარმოდგენის უკანონობასა მოვიყვან. მაგ. ლექსში „ხმა სამარიდამ": მიცვალებული, „მდივანბეგი" დიდი მოქრთამე, სააქაოს სთხოვს მკითხველთა საფლავიდგან", სააქაოს (ე. ი. ჩვენებურათ „საიქოს") თუა ქრთამი, გამახარეთ, ჩამომძახეთო!" ანდაზა ამბობს: „ქმარი ლაშქარს იყო, ცოლი ამბავს ეუბნებოდაო"; სწორეთ ამ „მდივანბეგის" საქმეც ასეა, ან უფრო პოეტისა, რომელიც ასეთ მოუსაზრებელ სიტყვებს ათქმევინებს მიცვალებულს, საიქოს წასულ-კაცსა „საიქოს თუა ქრთამიო" შემატყობინეთო სააქაოს მყოფ ცოცხლებსა სთხოვს!—ვაჟო, თითონ იქ არის, ვერა გაუგიარა და ჩვენ აქედგან რა პასუხი უნდა მივსცეთ;—მართალია, თუ იუმორია, დაცინება ვითომ მოკლე ჭკუის პატრონ დიამბეგისა, მაინც ძალიან მოუ-

ამათ, უქმი.—ამის მიზეზით, მე მინდა აქ გამოვსთქვა ჩემი ჰაზრი—რომელმა მიზეზებმა ჩაგვაგდო იმ ეკონომიურ მდგომარეობაში, რომელიც გვაგრძნობინებს მხოლოდ ცხოვრების შევიწროებას და საჭიროების დაუკმაყოფილებას.—

I

ჩვენ დიდი ხანი არ არის, რაც გამოვიცვალეთ ცხოვრების პირობა, ესე იგი, რაც ბატონ-ყმობა გადასწყდა.—ეს უკანასკნელი ფორმა ცხოვრებისა არ მოითხოვდა პიროვან შრომას მებატონესაგან და მომატებულს სიმდიდრის შეძენას გლეხ—კაცებისაგან.—იმ დროს მთელი საზოგადოება იყოფებოდა ორ ნაწილად: ერთს ნაწილს ადგენდნენ მებატონეები, მეორეს—გლეხ-კაცობა, რომლების მოვალეობა იყო ეცხოვრებინათ, გამოეკვებნათ თავისი მებატონეები. პირველისთვის, ესე იგი მებატონეებისთვის, საჭირო არ იყო პიროვანი შრომა, რომელიც არის განსაკუთრებითი ღონისძიება მთლათ საზოგადოების წარმატებისა. მე ვამბობ პიროვანი შრომა მათთვის არ იყო საჭირო, მისთვის რომ ამ ბატონ-ყმობას ჰქონდა ისეთი მავნებელი მოქმედება, რომლის ძალით მებატონე ეჩვევოდა უზრუნველობას, უქმობას: თუ კაცი რამდენიმე საუკუნეს სცხოვრებს ერთს და იგივე გარემოების შუა ეჭვი არ არის, დღეს თუ ხვალ, ის კაცი უთუოთ დაემორჩილება იმ გარემოებას და იცხოვრებს ისე, როგორაც მოითხოვს მისი დროება.—ბატონ-ყმობა მოჰქმედობდა საქართველოში რამდონიმე საუკუნე. მებატონე, ამის მიზეზით, შეეჩვია ამისთანა ცხოვრებას, რომელიც აძლევდა მას საშუალებას მუქთათ დაეკმაყოფილებინა ყოველი თავისი სურვილი, თუნდა ეს სურვილი სრულიად უსაფუძვლოც ყოფილიყო. ერთის ბრძანების ძალით მებატონეს ჰქონდა პური, ღვინო, იშენებდა სასახლეს, იმსახურებდა თავის კაცებს, აწერდა მახტას, საჩქმეს, ილებდა საქვრიოს და სხვ. მოკლეთ ვიტყვი, არც ერთი მებატონეთაგანი საჭიროთ არა ხედავდა გაემართა თავისი სასოფლო მეურნეობა, რომელიც მოითხოვს ცოდნას, მეცადინეობას, გამოცდილებას და ანგარიშსა. ის არა ჰფიქრობდა მომავალზე არა მისთვის, რომ არა სუროდა, არამედ მისთვის რომ უწინდელი ცხოვრების წყალობით ის არ იცნობდა სხვა ცხოვრებას, რომელიც დამყარებულია საკუთრად პიროვან, ენერგიულ შრომაზე.

ჩვენი საზოგადოების მომატებული ნაწილი იზრდებოდა იმ გვარათ, რომ მათი აღზრდა გამოუსადეგი იყო ჩვენის ცხოვრებისთვისა;—ჩვენი საზოგადოება მიიღებდა ისეთს აღზრდას, რომელიც სასარგებლო იყო მხოლოდ სამხედრო სამსახურში და არა სამოქალაქო ცხოვრებისათვის. ჩვენს საზოგადოებას, გარდა ამისა, არა ჰქონდა ხშირი მისვლა-მოსვლა ევროპის ქვეყნებში, სადაც გავრცელებულია სასოფლო მეურნეობა, სწავლა, სადაც დიდი ხანია მოისპო ბატონ-ყმობა და სადაც ამის გამო ჩვენი საზოგადოება თავის თვალით ნახავდა იმათ თადარიგიან შრომას და გაუმჯობესებულ ცხოვრებას, რომელიც არასფრით არ ეგზავსება ჩვენს დაუდევნელობას და უანგარიშო პურადობას. ჩვენ, ძველ დროებაში, მოშორებულნი ვიყავით იმ ხალს, იმ მაგალითებს, რომლითაც შეიძლებოდა გამოგვეცვალა დროის მომდინარეობით ჩვეულება და შეგვეტყო რაში მდგომარეობს ნამდვილი ბედნიერება და სიმდიდრე ხალხისა. აქედან სჩანს, რომ მებატონეები სცხოვრებდნენ ისეთს გარემოებების შუა, რომ ვერ ხედავდნენ რა იყო მათთვის სასარგებლო და რა არა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეორე ნაწილი საზოგადოებისა, ესე იგი გლეხ-კაცობა, სცხოვრებდა ისევ ამ მებატონეების ხელს ქვევით;—ისინი სრულიად დამონავებულნი იყვნენ იმ გავლენისაგან, რომელიც სწარმოებდა მებატონობის აზრიდგან. გლეხ-კაცობას თავის სიცოცხლეში არა ჰქონია არაოდეს წინ ინტერესი ანუ განზრახვა, რომლის ძალდატანებით გაეუმჯობესებინა ეკონომიური და გონებითი მხარე ცხოვრებისა, მისთვის რომ ყოველი საკუთრება მისი და შეძინებული ეკუთვნოდა უმაღლესს საზოგადოებას, რომელსაც ჰყავდა ის დამონავებული და შეპყრობილი.—მოკლეთ ვიტყვი, საზოგადოება არა ხედავდა თავის ეკონომიურ მდგომარეობას; ეგონა, რომ სხვა უკეთესი ცხოვრება მისთვის არ არსობდა და ამისაგამო ყოველისფერს სასარგებლო საქმეს უყურადღებოთ სტოვებდა. ამ გვარი მდგომარეობა საზოგადოებისა, რასაკვირველია, არ იქნებოდა საუკუნო.—აი, გავრცელდა ხმა ბატონ-ყმობის მოსპობაზე.—ზოგმა ეს ხმა მიიღო როგორც ჭორი, მოგონილი უსაქმოობის გამო, და ზოგი ნამდვილათ დარწმუნებული იყო მის მოსპობაზე.—ზოგი არ მოელოდა მის მოსპობას იმ მიზეზით, რომ მათი გონება ეუბნებოდა მათ, რომ რამდენიმე საუკუნის ჩვეულების მოშლა ასე ადვილი არ არისო; მაგრამ შემცდარნი იყვნენ ერთიც და მეორეც: არ აღსრულდნენ იმათი იმედნი და პირველათ დაინახეს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ო ბ ა გ ლ ე ხ-კ ა ც ე ბ ი ს ა და უცებ წარმოუდგათ წინ განთავისუფლებულნი გლეხნი.—ამათმა თავისუფლებამ, ახალმა ცხოვრებამ მოსთხოვა მებატონეებს პიროვანი გამრჯელობა; აი, მაშინ დაინახა ცხადათ ჩვენმა უმაღლესმა საზოგადოებამ, რომ დარჩა მარტო და აღარა ჰყავს არც მუქთი მხვნელი, არც მთესველი.—მუშაობას დაუჩვეველმა მებატონემ, რომელმაც არც კი იცოდა, რა იყო ნამდვილი სასოფლო მეურნეობა, შენახვა კაპიტალისა და მოქმედ[...] დაფუძნებული ანგარიშზე ვერ მოაწყო უც[...] თავისი უწინდელი მეურნეობა ისე, რომ მ[...] ბუქათ აეტანა ახალი პირობები ცხოვრებისა. ეს არის ერთი იმ მოქმედების შედეგთაგა[...] რომლის გამო ჩვენ ვგრძნობთ სიღარიბ[...] ყმების განთავისუფლების შემდეგ.—

II

პაცობრიობის ყოველ მხრივი წარმა[...] მოითხოვს, რომ შრომა ხალხისა ანუ საზ[...] გადოებისა ისე იხარჯებოდეს, რომ შე[...] შრომისა იყვეს მომავალისთვის სასარგებლ[...] ეს უკანასკნელნი სიტყვები მოითხოვენ გ[...] მარტებას.—სიმდიდრე, როგორც კერძო კ[...] სა, ისე საზოგადოებისა მდგომარეობს [...] გამამდიდრებელ ელემენტებში: პირველს [...] თვნის მიწა და მასში მწოლარე ნივთეულ[...] ბა, მეორეს—შრომა. თუ ამ ელემენტ[...] კაცი ანუ საზოგადოება მოკლებული იქნ[...] ბა, მაშინ იმის ცხოვრებაც შეუძლებელი ი[...] ნება.—ბუნება მუქთათ გვაძლევს ჩვენ პი[...] ველ ელემეტრს—მიწას. ჩვენი სიცოცხ[...] მოითხოვს, რომ ამ ელემენტიდამ შევაძ[...] ნოთ იმისთანა ნივთი, რომელიც საჭირ[...] ჩვენის ცხოვრების გასაგრძელებლათ: საჭ[...] ლი, სასმელი, სახლი და სხ. საჭირო ნივთ[...] ამის გამო ბუნება გვაძლევს ჩვენ საშუალ[...] ბას, რომლის წარმომადგენელი არის შრ[...] მ ა.—ამის გამო კაცი, თავის სასარგებლო[...] მიიღებს შრომას, ეძებს თავის სასარგებლ[...] ნივთებს, რომელნიც იპოვებიან მიწაში, ანუ [...] წაზე, იწყობს შემუშავებას და ამ გვარათ [...] იძენს პირველ-საჭიროებითს ნივთს, როგორ[...] სადგომი, ტანთ-საცმელი. — აქედან სჩან[...] რომ კაცის ცხოვრებისათვის საჭიროა შე[...] თება ორის გამამდიდრებელ ელემენტისა: მ[...] წ ი ს ა და მ ა ს შ ი ნ ა ყ ო ფ ი ს ნ ი ვ თ ე ბ[...]

---

ხერხებელი, უშნო, ულაზათო, „ულოღიკო“ იუმორია, რომელიც აჩვენებს, რომ ან თითონ ავტორი მოტყუებულა, ან სხვას თვალებს უბამს ამ უნდილ ხუმრობითა. იქნება პოეტმა სთქვას, რომ „ჯერ ე ს ა რ წამდგარა საშინელი სამსჯავროს წინაშეო“;—მართალია, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ჩვენ უფრო შორს და ხამები არა ვართ იმაზედ საიქიოს და უცოდინარი, „მდივანბეგები“ არიან,—იმათ ნახევარ გზა მაინც გაუვლია და საიქაოს წვენი უწვნევიათ. არა, ამისთანა ხუმრობას მდივანბეგი არ იტყოდა, ეს უფრო იმ საფანელ შემოკლებულ მწერლების (ილ. ჭავჭავაძე ტყუილათ ჰბაძავს იმათ) ადათია, რომლებიც საღმრთო ვალათა რაცხავენ მკითხველები ბოლოს გაუღრეჭავი არ გაუშვან და რადგან ხეირიანი, ნამდვილ, მარდათ მოხერხებული და მახვილ გონიერი სიტყვა-პასუხი არა აქვთ, ამ თავიანთებურ უძვლო-უფხო შეთითხნილ ხუმრობას წამოისვრიან ხოლმე და ეს დიდ კვახე მახვილ-გონიერებათ მიაჩნიათ.

ილ. ჭავჭავაძის პოეზიას აქვს ნაკლულევანება, რომელიც გარეგანი ნაკლულევანების—ენის შეუმუშავებლობის და ნამდვილ ესტეტიკური ფორმის უქონლობაზედ ბევრით დიდი და საგრძნობელია;—ეს ის ძნელათ სანდობი და საეჭვო კილოდ კვალი არის, რომელიც პ ო ე ზ ი ა ს „ფილოსოფიურ განსჯათ“ ან „ეკკლესიურ ქადაგებათ „გარდააქცევს, და ეს ცხადია, რომ ამისთანა ც ხ რ ა-წ ვ ე ნ ა ო ბ ა არც ფილოსოფიისთვის, არც ზნეობისთვის და არც პოეზიისთვის არის სასარგებლო: პოეტი ცდილობს თავის ლექსებში (პროზაშიაც) რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა, ბ ე ვ რ ი ჰ ა ზ რ ი და კ ა ც თ მ ო ყ ვ ა რ ე ბ ი თ ი (ფ ი ლ ა ნ-ტ რ ო პ ი უ ლ ი) გ რ ძ ნ ო ბ ა ჩ ა ს ტ ი ო ს; საჭიროა თუ არა, ან ეტევა თუ არა, ამას არ დაგიდევს, ოღონდ კი ა ხ ა ლ მ ო დ უ რ კილოზედ მოსძახოს იმისმა მუზამ.—აქ ნურავინ იფიქრებს, რომ მე ვითომ კაცთმოყვარულ გრძნობისთვის და მსჯელობისთვის ეძრახავდე ილ. ჭავჭავაძეს,—არა, ყოვლადვე ნუ იყოფინ; მე მარტო იმას ვამბობ, რომ პოეზიას პოეზია უნდა ერქვას და პოეზიის თვისება ჰქონდეს და ეკკლესიურ ქადაგებას ეკკლესიური ქადაგებისა. პოეზიაში, რასაკვირველია, როგორც ყველა ჭკვიანურ საქმეში, ჰაზრი და მსჯელობა უნდა იყვეს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ არასოდეს, რომ პ ი რ ვ ე ლ ი და უ მ თ ა ვ რ ე ს ი, გ ა ნ ს ა-კ უ თ რ ე ბ ი თ ი ს ფ ე რ ა პ ო ე ზ ი ი ს ა არის „გ რ ძ ნ ო ბ ა“, ა ნ უ უ კ ე თ „მ გ რ ძ ნ ო ბ ე-ლ ო ბ ა“ და პოეტი პირველათ და უმეტესად გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ი, ა ნ ა ღ მ წ ე რ ი ა, რომელიმე საგნისა ან მოქმედებისა და მოვლინებისა და მერე მ ს ჯ ე ლ ი (мыслитель). თუ კი თავის დანიშნულება პოეზიამ კარგათ აასრულა: ღრმათ და მ ტ კ ი ც ე თ გ ა მ ო ს-თ ქ ვ ა გ რ ძ ნ ო ბ ა, მაშინ საკუთარი ცდა აღარ უნდა მწერალს, რომ მაინც და მაინც დიდი ჰაზრი და მსჯელობაც ჩავტენოვო; დ ი დ გ რ ძ ნ ო ბ ა შ ი დ ი დ ი ჰ ა ზ რ ი ც ა რ ი ს ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს და საზოგადოთ ხელოვნების (პოეზიის, მუზიკის, მხატვრობის, გამოქანდაკების, ან ჩუქურთმის) ვალი და დანიშნულება არის უმეტესად გრძნობა (ვრცლათ ნაგულისხმები) გამოხატოს, როგორც მაგ. მათემატიკური, ასტრონომიული, სტატისტიკური და საზოგადოთ ნამდვილი, ასე ვთქვათ, მშრალი მეცნიერება, რომელიც უმთავრესად მსჯელობას მოითხოვს და უპირველესათ აქ ჭკუა-გონება მუშაობს. პირველი (ხელოვნება) ასე ვთქვათ, პირველათ გრძნობასა და გულს ეტანება, მერე ტვინს, თავსა; უკანასკნელი კი (მეცნიერება) თითქო ჯერ ტვინზედ და თავზედ მოქმედებს, მერე გულზედ. მაგ. ახალი დროს პოეტებში ყველაზედ ღრმათ შექსპირსა აქვს „გრძნობა“ გამოთქმული თავის თხზულებებში და ყველაზედ ცოტათა ცდილობს მაინც და მაინც მ ს ჯ ე-ლ ო ბ ა ც შესჩხიროს იქ, სადაც გრძნობაც ძლივს ეტევა; ამიტომაც ის არის ყველაზედ დიდი პოეტი, დიდი მცოდნე კაცის გულისა, მოგვი გრძნობისა და ვნებათ მოძრაობისა; იმავე დროს ის არის, თითქმის უნებლიედ, დ ი დ ი მ ს ჯ ე ლ ი ც და იმის პოეზია შეიცავს თ ვ ი თ უ დ ი დ ე ს ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ჰ ა ზ რ ე ბ ს ა, რომლებიც ჭეშმარიტ პოეტურ თხზულებაში ყოველთვის არიან. მხლა ამის წინააღმდეგ მოვიგონოთ მეორე პ ო ე ტ ი, რომელიც უფრო ფილოსოფოსი და მსჯელი იყო, ვიდრე ნამდვილი პ ო ე ტ ი; იმის პოეტიკურ თხზულებათ: დრამებს, ლირიკულ ლექსებს და სხვ. დ ი დ ი პ ო ე ტ ი კ უ რ ი ღ ი რ ს ე ბ ა და მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ა რ ა ა ქ ვ თ, თუმც ყველა იმთაგანი ღრმა ფილოსოფიურ ჰაზრზედ და მაღალ კაცობრიულ (ჰუმანურ) საგნებზედ არიან დაფუძნებულნი და დაწერილნი. რატომ?-ამიტომ რომ პოეტი თავის თხზულებაში, ასე ვთქვათ, ჭ კ უ ა-გ ო ნ ე ბ ა ს ატანს ძალასა და არა გ რ ძ ნ ო ბ ა ს ა; მკითხველის ანუ მსმენელის გ უ ლ ს კი არ ელაპარაკება, როგორც პოეტის ადათი და წესია, არამედ თავსა; ჭკუითა და მსჯელობით ცდილობს დაუმტკიცოს და დააჯეროს თავის აზრზედ და არა გ რ ძ ნ ო ბ ი თ შ ე ს ძ რ ა ს და ა ა ღ ე-ლ ვ ო ს მსმენელი კეთილი საქმისთვის. ლ ე ს-ს ი ნ გ ი ს ჩვეულება იყო, როდესაც ძველი ან ახალი დროების ჰაზრი მოეწონებოდა, ან დაიწუნებდა გამოახვევდა ამ აზრს პოეზიის სამოსელში (ხშირად დრამათ) და გაავრცელებდა ხალხში; მაგრამ ეს პოეტური სამოსელი თხელი გახლდათ ხოლმე: ყოველ სიტყვაში ავტორის სურვილი სჩანდა—რომ მკითხველები დააჯეროს თავის აზრზედ და თავის ბადეში გასაბმელათ, რაღაც ტიკინების არიფანასა თამაშობდა, რომ უკეთესათ მოეტყუილებინა. ერთი სიტყვით, კარგათ ვერა მალავდა თავის სურვილსა თავის პოეტურ თხზულებაებში, გ რ ძ ნ ო ბ ა ს, ფ ა ნ ტ ა ზ ი ი ს და გ ა მ ო ხ ა ტ უ-ლ ე ბ ა ს ძ ა ლ ა ა კ ლ დ ა და გულს ვერ ელაპარაკებოდა; ამიტომაც იმის პოეზიას ისეთი ცხოველი და ნაყოფიერი ზედმოქმედება, გავლენა ვერა ჰქონდა ხალხზედ, როგორიც ჭეშმარიტ პოეტის ქმნილებას ყოველთ[...] უნდა ჰქონდეს, მაგ. იმის დრამა—„ნ ა თ[...] ნ ა ე ლ ბ რ ძ ე ნ ი“ არის დაწერილი იმ დ[...] კაცთმოყვარულ დიდ მოძღვრისაგან წარმ[...] თქმულ ჰაზრზედ, რომელიც ევროპის ქრ[...] ტიანებმა დაივიწყეს და უ რ ი ე ბ ი ს დ ა წ[...] დიდ ღ ვ თ ი ს პ ა ტ ი ვ ი ს ც ე მ ა თ მ ი ა[...] დ ა თ; მცნება კი ამბობდა, რომ ღმერთისთ[...] არ არის არც ურია, არც ელლინი, [...] წ ა რ მ ა რ თ ი ო და თქვენ ყოველნი ძმ[...] ხართო. ამ დრამაში არიან მოქმედ პირებ[...] სხვა და სხვა სარწმუნოების ხალხი: „ნ ა თ[...] ნ ა ე ლ ბ რ ძ ე ნ ი“ არის უ რ ი ა,—სალ[...] დინი“ „სულთანი“ იერუსალიმისა,—მახმად[...] ანი და რ ა ი ნ დ ი (рыцарь)—ქ რ ი ს ტ ი ა ნ[...] ესენი თითქმის ერთმანეთის სისხლსა სმ[...] (უფრო ქრისტიანი ემტერება ურიასა და ს[...] ლთანი—მახმადიანი არიგებს) და უმეცრებ[...] ფანატიზმის მოწყალეებიდ თავიანთვე სიც[...] ცხლეს სწამლავენ, ჭეშმარიტ კაცობრიულ[...] ადამიანურ გრძნობას იხშავენ ერთმანეთი[...] დმი, რადგან სხვა და სხვა სარწმუნოებ[...] არიან, რადგან სხვა და სხვა გვარათ, სხვა[...] სხვა ენაზედ ე რ თ ს ა და ი მ ა ვ ე ღ მ ე რ[...] ადიდებენ.... აი, ამ დიდად ღირსს საგან[...] სწერს ლესსინგი თავის უკეთეს თხზულ[...] „ნათანაელ ბრძენი“. მოქმედება არის იერუ[...] ლიმში და თავდება იმით, რომ ბოლ[...] მაინც საზოგადო ადამიანური, ბუნებითი გ[...] ძნობა, სისხლისა და ხორცი კავშირი სთ[...] გნის უმეცრებისაგან წარმოშობილ ც[...] მორწმუნებით ხალხების გაყრა-განსხვავებ[...] და სიმტრესა. მაგრამ ეს ნამდვილ კაცობრ[...] ული და ქრისტიანული ჰაზრი მაინც [...] „ზნეობით სწავლად“, ქადაგებად, დარიგებ[...] რჩება, რაღაც შეთხზული „მსჯელობა“ გ[...] დის და არა ნ ა მ დ ვ ი ლ ი პ ო ე ზ ი ა. [...] მაღალ ზნეობითი ფილოსოფიის ჰაზრ[...] პ ო ე ტ უ რ ი ს ი ც ო ც ხ ლ ე ა კ ლ[...] და, როგორც ყველა არა ცხოველი, ადამ[...] ნ უ რ ი ც ხ ო ვ ე ლ ი გ რ ძ ნ ო ბ ი თ ღ[...]

...ა და შრომისა. ნივთი, მიღებული ამ ...ის ელემენტის ერთად შეერთებით, საჭი..., მისთვის რომ კაცს შეეძლოს ყოველ ...ნობილ დროს დააკმაყოფილოს თავისი აგე...ულების მოთხოვნილება, აასრულოს რასაც ...თხოვს განზრახვა სიცოცხლისა; მაშა-სა...დამე, კაცი უნდა სცდილობდეს შექმნას თა...ვისთვის იმისთანა ნივთი, რომელიც მისთვის გამოსადეგი უნდა იყვეს არა აწმყო დროს, ...რამედ მომავალშიაც.—ნივთი, შეძენილი იმ ...ზრით, რომ სასარგებლო იყვეს დღესაც და მომავალ დროსაც, შეადგენს კაპიტალს. მაშასადამე კაცი, თუ კაპიტალი შედგენილი ...არა აქვს, ვერ შეიძლებს თავის სიცოცხლის გაგრძელებას.—აქედან ცხადათა სჩანს, რომ კაპიტალი შესდგება მხოლოდ მაშინ, როდესაც ორივე გამამდიდრებელნი ელემენტები შეერთდებიან და ამ შეერთების რეზულტატი არის სასარგებლო ნივთი ყველასთვის საზოგადოთ.

...რასაკვირველია, რომ ეხლა მრავალი შრომა და დრო იკარგება უსარგებლო ნივთების ...კეთებლათ და მოსახმარებლათ. მაგ. რამდენი კაცია, რომელნიც გართულნი არიან ...სარგებლო ნივთების მომზადებაში! შრომა და დრო, მოხმარებულნი ამ გვარი ნივთების ...კეთებაში, არის უსარგებლო, მაშასადამე მა...ვნებელიც საზოგადოებისთვის.—ამ გვარ მოქმედებას და ბუნების სიმდიდრის მოხმარებას ...ვერ ვუწოდებ კაპიტალს, რადგანაც ამათ არც მომავლისათვის მოაქვთ სარგებლობა და არც აწმყოსთვის. ცხოვრებაში იპოვება სხვა ...გვარი კაპიტალიც: ეს არის—ჭკუა, გონება. როგორც სხვანი, ისე ეს უკანასკნელნი შეადგენენ კაპიტალს მაშინ, როდესაც კაცს ამით ...აქვს რომელიმე სარგებლობა.—კაცი, სავსე ჭკუით და გონებით, მაგრამ ზარმაცობის მოყვარე, კაცი, რომელმაც თავის ჭკუით და გონებით არა შესძინა რა არც თავის თავს და არც სხვას, აგრეთვე არის პატრონი მხოლოდ უსარგებლო ჭკუისა და გონებისა, უსარგებლო კაპიტალისა. ამ გვარის ჭკუის სიცოცხლე და სიკვდილი საზოგადოებისთვის სულ ერთია.—ყოველი ნივთი, რომელიც შეადგენს საყოველდღეო საჭიროებას, არის შედეგი გამამდიდრებელ ელემენტების შეერთებისა. მაგრამ საზოგადოებისთვის საკმაო არ არის ქონება გამამდიდრებელ ელემენტებისა; ესენი არიან მხოლოდ საშუალებანი, რომლითაც კაცი ანუ საზოგადოება მიაღწევს უმაღლეს განზრახვამდის.—გარდა ამ ელემენტებისა საჭიროა აგრეთვე იმათი გონივრულათ მოხმარება. ჩვენ თუ გვაქვს კაპიტალი—შრომა და მიწა, უნდა ვეცადოთ, რომ ეს ელემენტები გამდიდრებისა მოვიხმაროთ ისე, რომ ყოველი ჩვენი მოქმედება, მოძრაობა გვამდიდრებდეს ნამდვილად, როგორც ეკონომიურს, ისე გონებითი შესახვედრომაში. როდესაც კაცი ანუ საზოგადოება იმ რიგათ მოქმედობს, რომ ამ მოქმედებას მოზდევს მხოლოდ გამდიდრება ყოველ შესახვედროებაში, მაშინ, ეჭვი არ არის, ის კაცი და საზოგადოება ყოველთვის ისარგებლებს კეთილ-დღეობით, აღარ იგრძნობს არც სიღარიბეს, არც გაუნათლებლობას, რადგანაც განათლების მიღება დამოკიდებულია ნივთიერებით შეძლებაზე, და აღმოირჩევს იმისთანა გზას, რომელსაც მოზდევს მხოლოდ კეთილი.—

III

ნამდვილი წარმატება საზოგადოებისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც გამამდიდრებელ ელემენტებს ხმარობენ გონივრულათ.—ამ ორს გამამდიდრებელ ელემენტებს შუა არ უნდა არსობდეს ის ბრძოლა, რომელსაც ვხედავთ ეხლანდელ დროს სხვა და სხვა სახელმწიფოებში. მე ვამბობ იმ ბრძოლაზე, რომელიც გავრცელებულია კაპიტალს და შრომას შუა.—პირველი მიზეზი პროლეტარიატისა მიეწერება იმას, რომ კაპიტალს და შრომას შუა არ იპოვება თანასწორობა.—რადგანაც ყოველი რეზულტატი შრომისა—კაპიტალი გადადის კაპიტალისტის ხელში და მშრომელს კი აღარა რჩება რა, გარდა მცირედი შრომის ფასისა, ამის მიზეზით მთელი კაპიტალი გროვდება მხოლოდ რამდენიმე პირის ხელში და დანარჩენი, უმრავლესი ნაწილი საზოგადოებისა, რჩება ცარიელ შრომის იმედით.—რა უნდა ჰქმნას მშრომელმა, თუ კი ყოველი რეზულტატი ორ გამამდიდრებელ ელემენტების შეერთებისა გადადის რამდენიმე კაცის უფლებაში?—ცარიელის შრომით, თუ ეს უკანასკნელი არ შეუერთდა მეორე გამამდიდრებელს ელემენტს, კაცი ვერ დაიცავს თავისუფალ ცხოვრებას. ამ გვარი ცხოვრება აღმოჩნდება მაშინ, როდესაც მშრომელს და კაპიტალისტს წარმოადგენს მხოლოდ ერთი პირი, ესე იგი, როდესაც კაცი ერთს და იგივე დროს იქნება საზოგადოებისთვის სასარგებლო მშრომელიც და კაპიტალისტიც.—თუ, მაგალითად, საზოგადოება იმ გვარათ დაყოფილა, რომ პირველი ელემენტი გამდიდრებისა—მიწა და მისი კუთვნილნი ნივთნი ეკუთვნიან ერთს ნაწილს და შრომა კი მეორეს, მაშინ, ბევრი ლაპარაკი აღარ უნდა, ამ ორს ნაწილს შუა აღმოჩნდება ბრძოლა, რომლის შედეგი უნდა იყვეს სიღარიბე საზოგადოების მომატებულის ნაწილისა.—მაგ. ევროპაში ხშირათ მოხდება ხოლმე უსიამოვნობა მუშებსა და კაპიტალისტებს შუა.—რისგან? მისთვის რომ კაპიტალისტს ყოველთვის შეუძლიან გასძლოს რამდონიმე ხანი უშრომლოთ, რადგანაც რამდენიმე თვისა და ხშირათ რამდენიმე წლის სარჩო შეძინებული აქვს. მაგრამ რა ჰქნას მშრომელმა, რომელსაც ხვალისთვის არა აქვს რა შენახული, მხოლოდ იმ მიზეზით რომ ის არის პატრონი შრომისა და სხვა არასფრისა?—დღეს თუ ხვალ მშრომელი—მუშა—უნდა მივიდეს ისევ კაპიტალისტთან და დაეთანხმოს იმ პირობებზე, რომელნიც მისთვის სასარგებლო სრულიად არ არიან. ვთხოვ მკითხველს გადიკითხოს რომელიმე ფურცელი რუსულ ჟურნალში „Современникъ", სადაც კარგათ არის განხილული პროლეტარიის მდგომარეობა; ამას იპოვით ბევრს სხვა წიგნებშიაც.—იქ ნახავთ, რომ იმათის სიღარიბის მიზეზი არის კაპიტალის უქონლობა.—მე კაპიტალს არ ვუწოდებ ფულს. ფული არის საშუალება, რომლისაგამო უფრო ადვილათ ვშოულობთ ჩვენთვის საჭირო ნივთებს. ისინი არიან ღარიბნი მისთვის, რომ გარდა შრომისა, არა აქვთ რა და ესეც დამოკიდებულია სხვისგან.—მეორეს მხრით, იმ ბრძოლის გამო, რომელიც დაარსდა მშრომელს და კაპიტალისტს შუა, კაპიტალისტებმა შეიძინეს იმისთანა სახელი, ნდობა, რომ ყოველი გონიერული მუშა უცქერის მათ როგორც თავიანთ სიცოცხლის პატრონს.... მართლათაც, საკმაო არის დაუგდოთ ყური იმ ამბებს, რომელნიც სჩანან ყოველ ფაბრიკაზე. იქ ნახავთ თქვენ, რომ ფაბრიკანტი—კაპიტალისტი—იმ რიგათ ეპყრობა მუშებს, რომ მუშა ერთი ლუკმა პურისათვის იძულებულია იმუშაოს დღეში თოთხმეტი ან თხუთმეტი საათი. ეს კიდევ არათა სჩანს მუშების ცხოვრებასთან: იმათ შინაურ ცხოვრებაში ვხედავთ ყოველ-გვარ უზნეობას, გარყვნილ კაცს, გადასულს ზნეობის წრეს.—რა არის ამის მიზეზი? ამ გვარი მაგალითები გვიმტკიცებენ, რომ მისი მიზეზი არის მხოლოდ დამოკიდებულება შრომისა კაპიტალისაგან. ეს ჩვენ-

---

...ნი არიან; თუმც სამღრთო გრძნობა და ...იყვარული არ აკლია ამ დრამასა, მაგრამ ...სამღრთო წერილი პოეზია არ არის, როგორც კოპერნიკმა მისწერა რომის პაპს: ...ღმრთო წერილი ასტრონომია არარისო, როდესაც თავის თხზულება: De revolutinibus orbium coelestium (ციურ მნათობთ მოძრაობისთვის/ზედ) უძღვნა!... ამ პოეტური გრძნობის, ...არტივი და უბრალო წარმოდგენის უქონელობისაგან მოხდება ხოლმე ისა, რომ ხშირებათ ილ. ჭავჭავაძე იძულებულია თვითონვე ...ატაროს ხელით, როგორც ჭოჭინაზედ მიყუ...სალებული ყმაწვილი, თავის მოქმედი პირები მუდამ ჩასჩურჩულებდეს, რა უნდა თქვან, რომ ყმაწვილები ჭკუითა დიდ...ით ეჩვენენ, და არ აცლის თავიანთ ...ნებით, ჰაზრისა და შეგნების, გრძნობის ...საფერად რას იტყოდნენ, იმათ ნება... რომ მიეგდოთ; ამ გვარი ხასიათი და კი...ლო აქვთ „მუშას" „ბუთნის დედას" ...და სხვ., სადაც ასე უხვად არის მსჯელობა ...ხშირად კაცთმოყვარული გულმტკივნეული ...ლობა ქადაგების კილოზედ. პუშკინს მემატიანეების და ისტორიკოსების მაგივრად პოეტებზე ...რომ ეთქო, ამგვარად იტყოდა: (Пой, не мудрствуя лукаво!...

...აქ მოვიყვანთ აგრეთვე პოეტის სამოქალაქო ...სიმამაცის ნიმუშსა.—მე ზემოთა მოვიხსენე, როგორც ილ. ჭავჭავაძის საგრძნობელი ნაკლულევანება, რომ ზოგჯერ რაღაც არშიყობის და სიკეკლუცის კილო, გასათხოვარი ქალისა და არა პოეტის შესაფერი, წამოჰკრავს ხოლმე—მეთქი. ...ხშირათ გაუჭირებლივ არწმუნებს პოეტი მკითხველებს—მე თქვენ მიყვარხართ, თორემ როგორ გავბედავდი ამ გვარათ თქვენზედ დამეწერაო და ამისთანაები, მაგრამ ყველაზედ ცხადათ ეს კეკლუცობა არის გამოთქმული ერთ ლექსში:

აგვიყოლია ჩვენ (ე. ი. ილ. ჭავჭავაძე) ...ქართველის ბედმა.

და, დაე გვძრახონ, ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი....

ან ერთს წუთს მაინც როგორ უნდა შეუშვას თავში კაცმა ამისთანა შიში და ან ერთ წამს თავში გაუელვოს, მეტადრე პოეტსა, რომელიც ღმერთთან ბაასობს და ხალხს წინუძღვის, ამ გვარი მხდალობა და თავის გამხნევება: დაე, გვძრახონ (პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ ეს წმინდა ქალური სიტყვა ვაჟისაგან ჩემ დღეში არ გამიგონია)! დაე, გაგვკილონო (მამულის სიყვარულისთვის..), არამცა და არამც ჩვენ ქართველის ბედის ძებნას თავი არ დავანებოთო... არა, რა ძალა უნდა ჰქონდეს ამ ძრახვასა და კილვასა საზოგადოთ არამც თუ მარტო მამაკაცზედ, რომლებიც უფრო ხშირად გულგრილნი არიან სხვის ტრახა-ტრუხზედ არამედ დედაკაცზედაც კი, თუ მეტისმეტი ღვთის გლახა არ არის?! როგორ უნდა ეშინოდეს კაცს ძრახვისა და კილვისა; სხვის „ტიტინი" „ტრახა-ტრუხი„ „რახა-რუხი"—ვისთვის რა სასჯელია, რა „ეკლის გვირგვინი" არის პოეტისთვის?!....

. . . . . . . . . . . . . . .

— ზეანებულა იმ პოეტებს, (დანტე, ტასსო), რომელნიც თავის თავს ეუბნებოდნენ და გულს იმხნევებდნენ: დაგვძრახონ კი არაო, თუნდ გვდევნონ, პირველ ქრისტიანებსავითაო, . . . . . . . . . ჩვენ მაინც ჩვენი წმიდა საქმის ძებნაში დავლიოთ დღენიო... რუსთაველს, რომ მიჯნურების მაგივრად თავის სიტყვები პოეტის თვისებაზედ ეთქვა, ასე იტყოდა: „ვისაც ეს ჭირი არა სჭირს, ნუ იტყვის პოეტობასა"! და არა დაძრახვა და გაკილვა ნუ შეგვაშინებსო, რომლის წარმოთქმაც უნდა ეთაკილებოდეს და ეზიზღებოდეს ყოველ კაცსა. ენის შეცდომას, უნამდვილობას არ შეიძლება ეს „ძრახვა" მოუწეროთ; ადვილათ შეეძლო სხვა სიტყვის პოვნა, თუ სხვა ჰაზრი უნდოდა ეთქვა.

ჩვენ ამ სიტყვებზედ იმიტომ შევდექით ამდენ ხანს, რომ ძალიან ცხადათ და ნათლად ხატავენ პოეტის სიმამაცეს და პროგრამას, სამძღვარსა და მიჯნას, სადამდინაც მიახწევს იმის საზოგადოებასთან ფალავნობა, დაძრახვა, გაკილვა. . . . . . უკანასკნელი და უდიდესი ხარისხი დევნისა იმისთვის ძრახვა არის; ეს არის ლექსებში, პოეზიაში, თეორეტიკულათ ნათქვამი. ახლა, ჩვენდა სამწუხაროთ, რა უნდა იყოს ნამდვილ ცხოვრებაში, რომელიც ყოველთვის ლიტერატურაზედ უფრო, მდაბალია!? საუბედუროთ, ამ ძრახვისა და გაკილვის პატარძალური ტეორია ბევრ ჩვენ მწერლებს და მჯღაბნელებს უკრავს ხელებს და აშინებს, რომელთაც მტკიცე ჰაზრი სისხლში და ხორცში არ გასჯდომიათ, არამედ მიხედვით ორიოდე ბოლო წამწკვერტილი ლექსებით კაკანებენ; ამათ ვერ გავამტყუნებთ: როგორიც ღედელი, ისეთი ერიო....

უფრო საგრძნობელ ნაკლულევანებას ილ. ჭავჭავაძის პოეზიისას, როგორც მთელი ჩვენი ლიტერატურისას, სახელდობ ნამდვილ ნაციონალური კილოს უქონლობას, ბოლოს მოვიხსენებ; ეხლა ვიტყვი ორიოდ სიტყვას პროზაზედ—„კაცია, ადამიანზედ". აქამდინ უმეტესად ლექსები მქონდა სახეში.

(დასასრული შემდეგში).

---

## საზანდრული.

I

ბუშინ გაველ ბაღში დილით,
იქ იყო ბევრი მტვერია;
ვნახე კაცი, ჩერგეზულათ
მას მოუშვია წვერია.
მდიდრათ ჩაცმული, მორთული,
ლამაზ ქალებში ერია;
მაგრამ საწყალის დედ-მამა
თურმე მწარეთ მშიერია.

II

ეგერ ყმაწვილს სიღარიბით
მძიმეთ შეცვლია ფერია,
მაგრამ სიფრანტე იმისთვის
სრულებით არაფერია.
იმას ჩოხისა ნაოჭი
ნაჭრებათ დაუკერია,
მაგრამ თავი კი საწყალსა
ქაცურათ დაუჭერია.

III

აგერ ერთ პატარა ქალსა
ხაბარდა გაუმერია;
მაგრამ ტუჩები დალოცვილს
საშიშრათ გაუშვერია,
შეხედოთ თმასა და პირსა—
უცხოთ მას შეუფერია,
მაგრამ თურმე ის ნამდვილათ
ასი წლისა ბებერია.
დედოფლურათ იმას თავი
ამაყათ აუღერია,
თავისი ყოფა-ცხოვრება
ქაბაზე დაუკერია.

IV

აქ ერთი პატარა ქალი
ჩვენებურების მტერია,
პარიჟული მოდა უყვარს,
ჩვენებს მძიმეთ გაბღვერია;
არ მოსწონხართ იმას თქვენა
და თავისა მოყვარია;
თქვენც, რომ ნახოთ, ასე იტყვით,
ვისი ტიკი ტომარია.

V

ერთი ქალის მწუხარე გულს
ტკბილათ აღარ უძგერია,
მისი ლეიბი, ბუმბული
ყოფილა ხმელი კერია;
მაგრამ პატიოსნებისა
ის არ ყოფილა მტერია,
ღვთის მოყვარობა და ნდობა
მუდამ მას ხელში ჰქერია.

VI

ერთი ძმა მყავს მე ერთგული,
დავთარი შეუკერია,
ჩემი სახელი და გვარი
ლოთებში ჩაუწერია.
მეორე მყავს იმისთანა,
რომ პირში ის მოყვარეა
და, როს პირსა ამარიდებს,
მომკლავს, თუ კი მომერია.
ამ გვარები ამ სოფელში,
ძმაო, იცოდე, ბევრია;
მოუფრთხილდი სოფლის ჟღერას,
მანამ გზები აგერია!
აწე კი წავალ რაჭასა,
ქვეყნები მომიარია;
რაჭას მივდივარ, რაჭასა,
რაჭისკენ მიმიხარია!

გ. ჭალადიდელი.

1869 წ. 3 დეკემბერს.
ქ. ქუთაისი.

თვის გასაკვირველი არ უნდა იყვეს, თუ მოვიგონებთ ზევით ნათქვამი სიტყვანი: კაპიტალი ეწოდება ყოველს ნივთს, ცხოვრებისთვის სასარგებლოს.—აქედან სჩანს, რომ საზოგადოებისთვის საკმაო არ არის შექმნა კაპიტალისა, თუ კი ეს უკანასკნელი არ ასრულებს თავის დანიშნულებას. გარდა ამისა ყოვლად საჭირო არსებობა შრომისა და კაპიტალის გონივრულად განაწილებისა.—აი რას უნდა სცდილობდეს კაცი. აი, ამაზედ უნდა ჰფიქრობდეს ყოველი, ვისაც შესტკივა გული მომავლისთვის?! უკანასკნელ სიტყვებიდან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ შრომა და კაპიტალი შეერთებულნი უნდა იყვნენ, ესე იგი უნდა სჩანდეს მათს შუა კავშირი, თანაშემწეობა.—ახლა, დრო არის მივხედოთ საქართველოსაც და გავარჩიოთ იმისი ეხლანდელი მდგომარეობა.—

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

## ნეკროლოგი

„დროების“ მკითხველებს ჯერ კიდევ არ დაავიწყდებოდათ, ალბათ, იმ კორრესპონდენციის შინაარსი, რომელშიაც იყო ამას წინეთ წარმოდგენილი, საკმაოდ ცოცხლად, ერთი მხრით ყველა ქართველი სტუდენტების საცოდავი და გაჭირვებული მდგომარეობა ცივსა და სიმრთელისათვის მავნებელ ჩრდილოეთში, მეორეს მხრით—სახელდობ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტის,—ბეჟან ხამაშურიძის სამწუხარო ბედი, რომელიც გაჰხდა, სხვა და სხვა გარემოებათაგან დაბადებული მიზეზისა გამო, მსხვერპლად აქაური მავნებელი ჰაერისა. ხუთი თვე არ გასულა ჯერეთ მასუკან, რაც ის საბრალო ბეჟან ხამაშურიძე მიაბარეს მიწას მისმა თანამოძმეებმა—ქართველმა სტუდენტებმა; დადგა ახალი წელიწადი და სიკვდილმა კვლავ მოითხოვა ჩვენგან ახალი მსხვერპლი.—

ამ წლის ცხრა იანვარს ოთხ ჩვენებურ სტუდენტებს, ორს ქართველს და ორს რუსს, მიქონდათ ერთ მივარდნილ ადგილას მოსკოვის მახლობლად კუბო, რომელშიაც იდვა გვამი ერთი ახალგაზდა შავთვალ-წარბებიანი და თმა ხუჭუჭა ქართველი სტუდენტისა. საცოდავი და გულ-ამამღვრეველი შესახედავი იყო განსვენებული; მაგრამ არც მისი თანამოძმენი იყვნენ ნაკლებად შესაბრალისნი, რომლებსაც მიქონდათ მისი გვამი. წარმოიდგინე, საყვარელო მკითხველო, თფილ ქვეყანაში შობილნი და აღზრდილნი შენი ძმები, რომლებიც ყინვიან დღეში იქ, საცა ღრმა თოვლი ძევს დედა-მიწაზე და 30° გრადუსამდე სიცივეა, ეზიდებიან ქუდებ მოხდილნი მძიმე კუბოს!—ეს ცივი და მშიშხავი ქარი ისეთი ამბით გვიწიოდა და გვაყრიდა ნამქერს, როცა სიმწარისაგან ოფლით და მწუხარებისაგან ცრემლებით სველნი ვეზიდებოდით კუბოს, რომ თითქო ამას გვეძახებოდა: „მალე მომართვით ეგ მსხვერპლი, თორემ ეს არის თქვენც ჩაგნთქამო!“ და მართლადაც აასრულებდა ის ამ ქადილს, თუ, ჩვენდა ბედათ, სასაფლაო ახლოს არ ყოფილიყო ლაზარეთზე.

. . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . .

ვინ იყო და რით მოკვდა, საწყალი ეს სტუდენტი, რომელზედაც ეხლაა საუბარი?

ეს სტუდენტი იყო ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრების, მღვდლის ოქროპირ ჩარკვიანის ვაჟი, სახელდობ სერგი. ამან შეასრულა ამ ხუთი წლის წინათ კურსი თფილისის სასულიერო სემინარიაში. შემდგომ სემინარიაში სწავლის გათავების ის ემსახურებოდა ერთ წელიწადს კეთილ სინიდისიანათ და სასარგებლოდ თავის სამშობლოს ქუთაისის უეზდის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად. ამ ერთი წლის განმავალობაში სცდილობდა იგი ეგრეთვე, რომ მომზადებულიყო სიმრთელით და სხვაფრივაც მაღალ სასწავლებელში წასავალათ და სწავლის შესამატებლად, რომ ამგვარათ უფრო სასარგებლო კაცი გამხდარიყო მამულისათვის და თავის თავისთვისაც. ეს სურვილი ჰქონდა და კიდევაც შეუდგა განსვენებული მისს ასრულებაში მოყვანას. თუმცა ბევრი დამაბრკოლებელი გარემოებაები უდგა იმას წინ რუსეთში წამოსვლის დროს, მაგრამ ისე მტკიცედ და ძრიელ იყო მასში განათლებისადმი ლტოლვილება, რომ სძლია ყველა დამაბრკოლებელი მიზეზები, ჩამოვიდა მოსკოვში და შევიდა აქაურ სასულიერო აკადემიაში, რომელშიაც მიიღეს იგი შემდგომ ჯეროვანი გამოცდისა საეკკლესიო ხარჯზე.

აქ იმდენი გაჭირვება და მოთმინება გამოსცადა განსვენებულმა როგორც აქაური ცივი და მავნებელი ჰაერისაგან და საჭმელებისაგან, აგრეთვე ზოგიერთი სხვა მიზეზებისა გამო, რომლებსაც ჰბადავდა უფულობა, რომ ენა ვერ გამოთქვამს. ყველა ამ გარემოებაებს რომ ზედ დაუმატოთ რამდენი და რა ნაირი . . . . . შრომა აქვთ სასულიერო აკადემიებში სტუდენტებს, მაშინ უფრო ცხადათ გავიგებთ განსვენებულის მდგომარეობას.

მაგრამ ის მაინც ებრძოდა ყველა ამ გვარ გარემოებაებს და იმ ჰაზრით ანუგეშებდა თავის თავს, რომ ყველა ეს ჭირი ადგა იმას სწავლის შეძენისათვის. და იმან მართლადაც მიაღწია თავისი საწადელის სამზღვარს, მაგრამ ვაი, რომ აღთქმულ ქვეყანაში შესვლა აღარ ეღირსა და გადიცვალა თვით სამზღვარზე . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . .

შემდგომ 16 წლის განმავალობაში სწავლისა, მარტო ხუთი თვეღა უკლდა განსვენებულს აკადემიის კურსის შესრულებამდის; სადიპლომო დისერტაციის მასალები სულ მომზადებული ჰქონდა მას, „რომლითაც უნდა დაგვირგვინებულიყო მთელი ამდენი ხნის მისი შრომა“ *)

კეთილი სული იყო განსვენებული და კეთილი სურვილით და პატიოსნებითაც ჰქონდა მას სავსე გული. მისი თავ-და-პირველი საყვარელი და მარად საგონებელი საგანი იყო სამშობლო. განსვენებულს ბევრჯელ ულაპარაკნია ამ სიტყვების დამწერთან ჩვენ სამშობლოზე და მის ცხოვრებაზე . . . ხალხის წინ წასაწევათ და უმეცრებიდგან სახსნელად ის ყველა საჩხარს ამჯობინებდა სასოფლო შკოლებს, და ბევრჯელ იტყოდა ხოლმე, რომ ჩემ სიცოცხლეს ამ საქმეს შევსწირავო, თუ სამშობლოში მისვლა მეღირსაო და უეჭველია რამდენათმე მაინც აასრულებდა განსვენებული თავის წადილს, თუ უდროვოთ არ მოეღო მისთვის ბოლო უწყალო სიკვდილს.

განსვენებული მარადის მზათ იყო მიეღო გულითადი მონაწილეობა ყოველ კეთილს და სასარგებლო საქმეში: ამ ერთი წლის წინათ მაგ. ერთი პირის სურვილით ავიღეთ რამდენიმე სტუდენტებმა ერთი სასარგებლო წიგნი სათარგმნელად და გადასაკეთებლად ქართულ ენაზე, იმ პირობით, რომ იმ პირს უნდა დაებეჭდა იგი თავისი ხარჯით; განსვენებულმა დიდი სიხარულით მიიღო მონაწილეობა ამ საქმეში, თუმც მისი შრომა, როგორც ზოგიერთი სხვების, უსარგებლოდ დარჩა ჯერჯერობით, რადგანაც მოხსენებული საქმე არ აღსრულდა ზოგიერთი მიზეზებისა გამო. ამას გარდა დარჩა იმას ზოგიერთი ნათარგმნი სტატიეები. დარჩა აგრეთვე ერთი გაუთავებელი ლექსი, სახელდობ „მ ო თ ხ რ ო ბ ა ე რ თ ი მ ო ხ უ ც ი კ ა ც ი ს ა“, რომელშიაც არის გამოხატული იმერეთის რუსეთის მფარველობის ქვეშ შემოსვლა და იმის უკანასკნელი მეფისა და ქუთათელის მაშინდელი მდგომარეობა. მაგრამ, სამწუხროდ, ეს ლექსი, როგორცა ვსთქვით, არ არის გათავებული, რადგანაც მის დაწერას შეუდგა გარდაცვალებული მარტო ორი კვირით წინ თავის ავათგახდომამდის.

*) ეს სიტყვები თვითონ განსვენებულის ეკუთვნიან.

განსვენებული გახდა ავათ ახალწლის წინა ღამეს და სულ მარტო ერთი კვირა იცოცხლა. მიზეზი მისი ავათგახდომისა იყო გაცივება, რომელიც გადაექცა შემაქცეველ ცხელებად. ამ სნეულებას ზოგი სხვა სნეულებაც დაერთო, და ველარაფლით უშველეთ მას, თუმც ცდა და მოვლა არ დაკლებია. გარდაიცვალა შვიდ იანვარს, საღამოს რვა საათზე. დამარხვის დროს მიიღო მონაწილეობა თვით აკადემიის რექტორმა, გარდა სხვა მრავალი სამღვდელო პირებისა. დამარხვის წინ ერთი შესხმა სთქვა თვით განსვენებულის ქვეყნის სტუდენტმა, რომელმაც ცხადათ წარმოუდგინა მსმენელებს სამწუხარო ბედი განსვენებულისა, რომელიც იყო მოშორებული თავის სამშობლოს და საყვარელ მშობლებს. მეორე შესხმა, ეკუთნოდა თვით აკადემიის რექტორს, რომელცშიაც ჰსცდილობდა დაემტკიცებია მას, რომ ქვეყნიური სწავლა სულ ამაოდ არ ჩაევლის საიქიო საქმისათვის.

წ—ლი.

1870 წ. 11 იანვარს.

## სამოსამართლო ქრონიკის მოპასუხის პასუხი.

„დროების“ უკანასკნელ 5 №-ში უფ. პერესელიძის მხრით დაბეჭდილი სტატია ისე ახლოს მეხება მე, რომ არ შემიძლია ამაზე ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა, მით უმეტესს რომ უფ. პერესელიძის ნაამბობში შეპარულან ზოგიერთი შეცდომაები.

ყველაზე უფრო მე მაკვირვებს ის ამბავი, რომ უფ. პერესელიძე ასე ხშირად ახსენებს „შებრალებას“ და „გულ-მტკივნეულობას“. მართლაც რომ იმას მარტო გულ-მტკივნეულებით შაენახა და ერჩინა ობლები, მაშინ, ვერ გამიგია, რათ უნდა მიეცა პერესელიძეს ობლებისთვის ორმოცი თუმანი ვერცხლის ფული და ამას გარდა 400 დესეტინა სადაო ადგილები რათ უნდა დაეთმო.

პერესელიძე რალაც შებრალებით თუ დაცინვით ამბობს ობლების მიცვალებულს მამაზე, რომ 1855 წ. ბოგვში მოვიდა ჩემთანა, სამჯერ და შემომჩივლა შიმშილით ვკვდებიო, შემინახე მადლის გულისთვის და, რაც სადაო ადგილები მაქვს, ამოიგე და, რაც ჩემ დამარხვას და ამ ქალების გათხოვებას გადარჩება, ღმერთმა მოგახმაროსო. გაზეთში რომ უადგილო არ იყოს, მე საბუთით დაუმტკიცებდი უფ. პერესელიძეს, რომ მიცვალებულის საქმეში თვითონ თავის ნება-ყოფლობით და თაობით გაერია ისა. . . . . .

უფ. პერესელიძე სულ-გრძელებით ამბობს, რომ ორმოცი თუმანი და ოთხასი დესეტინა ვაჩუქე ობლებსაო; არ ვიცი, ღმერთმანი, როგორ შევაფარდო ეს სიტყვები იმის „შეუძლებლობას და წვრილ-შვილიანობას“, რომელზედაც თვითონ იწერება; კეთილი გული კარგი საქმეა, მაგრამ თუ [illegible] გა-კაცს, მაშინ ვერც სხვას გაამდიდრებ შ- სიკეთით.

უადგილო რომ არ იყოს, მე დაუმტკიც[ებ]დი აგრეთვე უფ. პერესელიძეს, რომ მი- შებრალება სრულებით საჭირო არ იყო [მი]ცვალებულისთვის, რადგან, სხვა არ იყო[ს], ბოგვის კარგი მამული ხელში ჰქონდა, სამ- წელიწადს ფლობდა და შიგ იდგა თავის ცო[ლ]შვილით.

დიდის დაყვედრებით და სიამაყით ამბ[ობს] უფ. პერესელიძე ჩემზე, რომ „ხელაძე, რ[ო]მელიც ახლა მელიქიშვილის ტიპოგრაფი[აში] არისო, ჩემის წყალობით ისწავლა ასოს წყობლობაო“. მართალია, მე ერთი მცირე[დ] სწავლი კაცი ვარ, მაგრამ იმდონი კი მესმ[ის], რომ როგორც თქვენ იყავით ჩემთვის სა- რო, უფალო პერესელიძე, იმდონათ მეც [ვი]ყავი თქვენი სასარგებლო, თორემ, მიბრ[ძა]ნეთ, რათ დამაყენებდით? იქნება იმავე გუ[ლ]-მტკივნეულობის გამო!...

ეს არის ჩემი უკანასკნელი სიტყვა; წ[ერა] ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ამ შემთხვევ[აში] იძულებული ვიყავი ხმა ამომეღო. შემდე[გ] კი, ნურას უკაცრავათ, თუ პასუხი ვერ მ[ი]გართვათ! გაზეთები რა ჩვენი საქმეა.—

ხ ე ლ ა ძ ე.

## სავაჭრო ცნობები.

სოხუმის მთავარ სასამართლოში ამ წლის 9 და მარტს იქნება ვაჭრობა და გაიყიდება გორის მოქა[ლა]ქის პეტრე იოსების ძის საკოვის უძრავი მამ[ული], რომელსაც შეადგენს ერთ ეტაჟიანი ფიცრულის სა[ხლი] თავის მოწყობილობით და ეზოთი. ეს მამული და[ფასე]ბულია 7542 მანეთად და ისყიდება პეტრი დ[ე]როვიჩის ვალში.

ვაჭრობა დაიწყება 9 მარტს დილის 11 საათ[ზე]. მსურველს შეუძლია წინათვე ნახოს სოხუმის სასამ[არ]თლოში ამ საქმის შესახები ქაღალდები.—

ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში დანიშნუ[ლია] ამ წლის 16 მარტს ხელმეორეთ ვაჭრობა პირადი და დაბეჭდილი განცხადებებით; სამი დღის შემდეგ ი[ქნე]ბა პერეტორჟკა. სავაჭროთ დანიშნულია იჯარით აღ[ება] 1) აჭარის ქედსა და სოფ. ქერშავეთს შუა გ[ზის] გაყვანა; ეს გზა იქნება 20 ვერსი და 4,555 [საჟ.] ფასი ამ პოდრადისთვის დადებულია—36,768 მან. 14½ კაპ. 2) აქვე ზეკარის ხეობაში უნდა გა[კეთ]დეს მეორე გზა—აბას-თუმნის მეორე ხიდიდან თი[...] აბას-თუმნამდინ, ამისთვის დადებულია 4,670 [მან.] 87 კაპ. 3) აქვე, სოფელი ბაღდათიდან აბას-თ[უმ]ნის მეორე ხიდამდინ უნდა გაკეთდეს გზაზედ ხი[დები] და ქვის ღარები;—ამ საქმის იჯარით ამღებს მიე[ცემა] 7,223 მან. და 14 კაპ. გასაკეთებლათ.

გირაოთ იჯარით ამღებმა მეხუთედი იჯარის ფას[ისა] უნდა წარადგინოს. დაბეჭდილი განცხადებაები მიი[ღე]ბა ვაჭრობისთვის დანიშნული დღის 11 საათამდი.

ვაჭრობაში პირადი მონაწილეობის მიღების მს[ურ]ველმა უნდა წარადგინოს განცხადება, მეხუთედი ფ[ასი] იჯარისა და ამას გარდა თავის წოდების და უფლებ[ის] დოკუმენტები. განცხადება თოთხმეტ შაურიან ღ[ერ]ბიან ქაღალდზე უნდა იყოს დაწერილი.—

ამ იჯარის შესახები ქაღალდები მსურველს, უ[ქმე] დღეებს გარდა, ყოველდღე შეუძლია ნახოს ქუთა[ისის] გუბერნიის სამმართველოში (Строительное отдѣленіе Губ. Правл.) დილის 9 საათიდან ნაშუად[ღ]ევის 2 საათამდი.—

# ბიბლიოგრაფიული განცხადება.

ს ი ტ ყ ვ ა ნ ი დ ა მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა ნ ი,

თქმულნი გაბრიელ ეპისკოპოზის მიერ,

ამ თვის გასულს გამოვლენ ბეჭდვიდგან მ ე ო რ ე გ ა მ ო ც ე მ ი თ, რომელიც არის შევსებული 75 ახალი ქადაგებითა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го Февраля, 1870 г. ს. მელიქიშვილის და კამ. სტამბაში. დროებითი რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.